


კერძო ინვესტიციები

ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში, კერძოდ, დამატებული ღირებულების ფორმირებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში, დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო სექტორის მიერ როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი წარმოშობის ინვესტიციების განხორციელებას და სტაბილურ/მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს.

2015 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯამურად განხორციელდა 366 მლნ აშშ დოლარის ოდენობის კერძო ინვესტიცია, რომლის 76% შეადგინა მთლიანმა უცხოურმა ინვესტიციებმა.

კერძო ინვესტიციების დინამიკა (აჭარის ა.რ.)

მლნ. აშშ დოლარი



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.


საინვესტიციო საქმიანობის შეფასების მნიშვნელოვან ცვლადებად განიხილება ასევე განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით და მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. ინვესტიციების მოცულობა ნომინალურ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით ბოლო წლებში შეადგენს დაახლოებით 15-25%-ს, ხოლო რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე კერძო ინვესტიციების ოდენობამ 2015 წელს შეადგინა 1 087 აშშ დოლარი.

საინვესტიციო მაკროპარამეტრები (აჭარის ა.რ.)

	2011	2012	2013	2014	2015
ინვესტიციების ცვლილების ტემპი (%)	1.4	2.0	28.3	41.8	32.6
ინვესტიციები მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით (%)	15.5	15.0	18.0	23.9	-
ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი)	381	386	495	697	1 087

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.


კერძო ინვესტიციები მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით (აჭარის ა.რ.)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

კერძო ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე (აჭარის ა.რ.)

აშშ დოლარი




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

რეგიონში განხორციელებული საინვესტიციო აქტიურობა მნიშვნელოვანია გაანალიზებული იქნეს: ა) ეკონომიკის სექტორების მიხედვით; ბ) ქვეყნების მიხედვით; გ) თვითმმართველი ერთეულების მიხედვით. 2015 წელს განხორციელებული კერძო ინვესტიციები

ეკონომიკის სექტორების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ენერგეტიკა - 41%, ტურიზმი - 33%, მშენებლობა - 23%, სოფლის მეურნეობა - 1%, მრეწველობა - 1%, სხვა სექტორები - 1%. რაც შეეხება მთლიანი უცხოური ინვესტიციების სექტორულ განაწილებას, აღნიშნული თვალსაზრისით ყველაზე მსხვილი საინვესტიციო ნაკადები მოდის ენერგეტიკაზე (53%), ტურიზმსა (39%) და მშენებლობაზე (7%).

**კერძო ინვესტიციების განაწილება სექტორების მიხედვით
(აჭარის ა.რ. / 2015 წ.)**



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.


2015 წლის მონაცემებით რეგიონში ყველაზე მეტი მოცულობის ინვესტიციები მოდის ნორვეგია/ინდოეთსა (39%) და თურქეთზე (39%). ხოლო ტერიტორიული ერთეულების მიხედვით განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის გათვალისწინებით ლიდერობს თვითმმართველი ქალაქი ბათუმი (56%), შუახევის მუნიციპალიტეტი (15%) და ხულოს მუნიციპალიტეტი (15%).

**კერძო უცხოური ინვესტიციების განაწილება ქვეყნების მიხედვით
(აჭარის ა.რ. / 2015 წ.)**

ქვეყანა	ხვედრითი წონა (%)
ნორვეგია/ინდოეთი	39
თურქეთი	39
ავსტრია	7
დიდი ბრიტანეთი	5
აზერბაიჯანი	4
რუსეთი	3
ესტონეთი	2
სხვა ქვეყნები	1

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

**კერძო ინვესტიციების განაწილება თვითმმართველი ერთეულების მიხედვით
(აჭარის ა.რ. / 2015 წ.)**



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

მნიშვნელოვანია მაღალი საინვესტიციო აქტიურობის სექტორების გამოვლენა არა მხოლოდ სტატისტიკური, არამედ დინამიკური შეფასების თვალსაზრისით, რაც იძლევა სწრაფად მზარდი საინვესტიციო სექტორების გამოკვეთის საშუალებას. ამ მხრივ განვითარების მიმდინარე ეტაპზე აღსანიშნავია რეგიონის ეკონომიკის სექტორების შემდეგი სამეული: ენერჯეტიკა, მრეწველობა და ტურიზმი.

სწრაფად მზარდი საინვესტიციო სექტორები (აჭარის ა.რ. / 2015 წ.)
ენერჯეტიკა
მრეწველობა
ტურიზმი

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.